საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

MES 7 17 01435485

24/11/2017

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კანცლერის ზურაბ ორჯონიკიძის (პირადი #01019001314) სახით, უფლებას ანიჭებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის საინჟინრო - სამშენებლო განყოფილების უფროსს კონსტანტინე გეგელიძეს (პირადი პ/ნ 01018001308) მასზედ, რომ მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში აწარმოოს ყველა საჭირო პროცედურა, რაც დაკავშირებულია უნივერსიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული უძრავი ქონების პროექტირების, ექსპლუატაციაში მიღებისა და რეგისტრაციისთვის.

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
კანცლერი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი)
პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

PER TRADITIONES AD FUTURUM

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 3 19 00436867

16/04/2019

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს 2019 წლის 29 მარტის N370783 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება - უნივერსიტეტისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემულ 1970 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.13.01.008.030) ექვსსართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებულ საკითხს, გაცნობებთ, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პოზიციის გათვალისწინებით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 მარტის N4429263 გადაწყვეტილების თანახმად, არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 30 იანვრის N4353983 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

ადმინისტრაცია
დეპარტამენტის უფროსი
სამსონაძე გრიგოლ

KA021794275831617

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჩოველიძის ქ.10ა

10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/9682

28 / თებერვალი / 2017 წ.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს

თქვენი 23.02.2017წ. N02-04-28-28/315 (სააგენტოს რეგისტრაციის N15968/ფ; 24.02.2017წ.) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21ა-ში მდებარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ 1970 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.13.01.008.030) შენობა-ნაგებობის მშენებლობა, იმ პირობით, თუ სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება, თქვენს მიერ აშენებული შენობა-ნაგებობა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებაში და სამშენებლო სამუშაოები შესრულდება უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური